



საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში

მე-4 კლასი

- {4ქ} თეკლამ ჩაიფიქრა რიცხვი, გამოაკლო მას 47, დაუმატა 1400 და მიიღო 1988. რა რიცხვი ჩაუფიქრებია თეკლას?
 ა) 3341 ბ) 3435 გ) 541 დ) 535 ე) ვერ დავადგენთ
- {3ქ} ყვავილების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულ 98 ყვავილი. ამათგან 37 იყო ვარდის სახეობა, 95 იყო ვარდისფერი, ხოლო 33 უსუნო. რამდენი სურნელოვანი ვარდისფერი ვარდი იქნებოდა აუცილებლად წარმოდგენილი ამ გამოფენაზე?
 ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4 ე) არც ერთი
- {1ქ} სანდრომ მავთული რამდენჯერმე მოღუნა და ორი კვადრატი გამოიყვანა ისე, რომ მავთულის სიგრძე მთლიანად გამოიყენა. ერთმანეთზე მიდგმული ეს კვადრატები ქმნიან მართკუთხედს, რომლის სიგრძეა 4სმ და სიგანე 2სმ. სულ მცირე რა შეიძლება იყოს ამ მავთულის სიგრძე?
 ა) 6სმ ბ) 12სმ გ) 15სმ დ) 16სმ ე) 14სმ
- {6ქ} პეპელა მდელოდან მდელოზე ისრების მიმართულებით გადაადგილდება. რომელ მდელოზე იქნება ის მე-9 გადაადგილების შემდეგ?




- ა) B ბ) C გ) D დ) E ე) F
- {2ქ} თაგუნა მიკი ბალიდან სორომდე მისვლას 9 წუთს ანდომებს, მინი კი სოროდან ბალამდე და შემდეგ უკან მისვლას 6 წუთს ანდომებს. რამდენჯერ სწრაფად მივა მინი ბალიდან სორომდე მიკისთან შედარებით, თუ ორივე მათგანი სიარულის ტემპს არ ცვლის?
 ა) 6-ჯერ ბ) 2-ჯერ გ) 3-ჯერ დ) 4-ჯერ ე) ვერ დავადგენთ
- {5ქ} სოფოს ამ წელს დაბადების დღე სამშაბათს ემთხვევა. რომელ დღეს დაემთხვევა ნიკას დაბადების დღე ამ წელს, თუ ნიკა 20 დღით უფროსია სოფოზე?
 ა) ორშაბათს ბ) სამშაბათს გ) ოთხშაბათს დ) პარასკევს ე) კვირას
- {1ქ} ყველაზე ცოტა, რამდენი შვილი შეიძლება ჰყავდეს ასმათს, თუ თითოეულ შვილს 1 ძმა და 2 და მაინც ჰყავს?
 ა) 1 ბ) 2 გ) 4 დ) 5 ე) 6
- {4ქ} ქეთიმ ერთი ცალი ფურცელი გაჭრა 2 ნაწილად, შემდეგ მიღებული ნაწილებიდან თითოეულიც გაჭრა 2 ნაწილად და ასე გააგრძელა. როცა ჭრა დაასრულა, მას ფურცლის 15-ზე მეტი და 23-ზე ნაკლები ნაწილი ჰქონდა. დაადგინეთ, რამდენი ფურცლის ნაწილი ექნებოდა სოფოს:
 ა) 14 ბ) 16 გ) 18 დ) 22 ე) 32
- {5ქ} რიცხვის გამრავლება 1000-ზე იგივეა რაც მისთვის:
 ა) 0-ის მიწერა ბ) 00-ის მიწერა გ) 000-ის მიწერა დ) 0000-ის მიწერა ე) 00000-ის მიწერა
- {3ქ} თუ რიცხვს ერთზე გავამრავლებთ, მივიღებთ:
 ა) 1-ს ბ) იმავე რიცხვს გ) 2-ს დ) 0-ს ე) 7-ს
- {2ქ} სურათზე გამოსახულია კედლის საათები. ლიზიმ შეამჩნია, რომ მათგან მხოლოდ ერთი აჩვენებს ზუსტ დროს. დანარჩენებიდან ერთ-ერთი ნამდვილ დროს 15 წუთით ჩამორჩება, მეორე - 15 წუთით წინ უსწრებს, მესამე კი გაჩერებულია. ჩამოთვლილებიდან რომელი საათი აჩვენებს



- {4ქ} რა ნაშთი არ შეიძლება მივიღოთ რიცხვის 4-ზე გაყოფისას?
 ა) 0 ბ) 1 გ) 2 დ) 3 ე) 4
- {1ქ} რამდენი წუთია საათში?
 ა) 30 ბ) 15 გ) 45 დ) 60 ე) 120
- {6ქ} რა თვისებაა მოცემული გამოსახულებაში: $(19+15)+27 = 19+(15+27)$
 ა) გადანაცვლებადობის ბ) გამრავლების გ) ჯუფლებადობის
 დ) პირველი შესაკრების ე) არც ერთი
- {4ქ} რამდენი სამნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის ციფრთა ჯამი არის 27?
 ა) 4 ბ) 3 გ) 2 დ) 1 ე) ვერ დავადგენთ

16. {3ქ} ლუკა შობის მომღვეწრო დღეს ამბობს: ზეგ იქნება ხუთშაბათი. რომელ დღეს ყოფილა შობა?
 ა) ორშაბათს ბ) სამშაბათს გ) ოთხშაბათს დ) შაბათს ე) კვირას
17. {1ქ} 5 ბაჭია 5 დღეში 5 კოლოფ სტაფილოს ჭამს. რამდენ კოლოფ სტაფილოს შეჭამს 10 ბაჭია 10 დღეში?
 ა) 5 ბ) 10 გ) 15 დ) 20 ე) 40
18. {5ქ} რამდენგვერდიანია წიგნი, თუ მისი გვერდების დანომრვა დაწყებულია 1-დან და გამოყენებულია 25 ციფრი?
 ა) 8 ბ) 25 გ) 17 დ) 18 ე) ვერ დავადგენთ
19. {1ქ} მატარებელში სულ 117 მგზავრი ზის. მათ შორის 18-მა არც ფრანგული იცის და არც თურქული. ამასთანავე, 86-მა იცის ფრანგული ენა, ხოლო 64-მა თურქული. რამდენმა მათგანმა იცის ორივე ენა?
 ა) 49 ბ) 51 გ) 23 დ) 84 ე) ვერ დავადგენთ
20. {6ქ} დააკვირდი მიმღვეწრობას და იპოვე გამოტოვებული რიცხვი: 0; 3; 9; 18; ...; 45; 63.
 ა) 32 ბ) 33 გ) 31 დ) 29 ე) 30
21. {4ქ} ორი რიცხვის ჯამი 574-ის ტოლია. ერთ-ერთი მათგანი 2-იანით მთავრდება. თუ კი ამ ორიანს წავშლით, მივიღებთ მეორე რიცხვს. იპოვეთ მოცემული რიცხვების სხვაობა.
 ა) 470 ბ) 480 გ) 522 დ) 52 ე) 2
22. {3ქ} ბაკური ყოველთვის დგამს 18 ნაბიჯს წინ და შემდეგ 6 ნაბიჯს უკან, შემდეგ ისევ 18 ნაბიჯს წინ და 6-ს უკან. ცნობილია, რომ მან 40 ნაბიჯით წინ წაიწია. სულ მცირე, რამდენი ნაბიჯი გადაუდგამს მას?
 ა) 84 ბ) 72 გ) 64 დ) 54 ე) 40
23. {2ქ} სამსართულიან კორპუსში ცხოვრობს სამი მეგობარი: ქერა ორბედაშვილი, ჟღალი სამყურაშვილი და წითური ერთიწვერია (თითო სართულზე თითო). ორბედაშვილს არასწორად ეგონა, რომ მხოლოდ მის შემთხვევაში ემთხვეოდა მის გვარში მოხსენიებული რიცხვი მის სართულს, რაზეც ჟღალმა, რომელმაც არ იცოდა, ვინ რომელ სართულზე ცხოვრობდა თავისი თავის გარდა, უპასუხა, რომ ეს არ იყო სიმართლე. მაშინ ვინ ცხოვრობს პირველ სართულზე?
 ა) ქერა ორბედაშვილი ბ) ჟღალი სამყურაშვილი გ) წითური ერთიწვერია
 დ) ვერ დავადგენთ ე) ასეთი შემთხვევა არ იარსებებს
24. {4ქ} მანანას 4 ნაჭერი ნამცხვრის საყიდლად აკლდება 12 ლარი. მან იყიდა 3 ნაჭერი ნამცხვარი და დარჩა 4 ლარი. რა ღირს თითო ნაჭერი ნამცხვარი?
 ა) 12 ლარი ბ) 16 ლარი გ) 4 ლარი დ) 8 ლარი ე) ვერ დავადგენთ
25. {1ქ} რომელი ფიგურა არ არის მოცემული სურათზე?



- ა) წრე ბ) სამკუთხედი გ) ოთხკუთხედი დ) ხუთკუთხედი ე) ექვსკუთხედი
26. {6ქ} ლამას აქვს 5 მსხალი, 2 სათამაშო მანქანა, ჰყავს ერთი კატა, კარადაში ინახავს 3 ფუნთუშას, 2 ვაშლს, 1 ფორთოხალს და 3 ატამს. სულ რამდენი ხილი აქვს ლამას?
 ა) 17 ბ) 10 გ) 11 დ) 9 ე) 15
27. {4ქ} მამამ სამი შვილისთვის საახალწლოდ მოამზადა სამი ერთნაირი საჩუქარი შეფუთულ ყუთებში. ბავშვები ცდილობენ გამოიცნონ, რა საჩუქრებია ყუთებში და რა ფერისაა ისინი. საჩუქრები თეთრი მარფებია - თქვა მარომ. საჩუქრები თეთრი სათამაშოებია - თქვა მიხომ, საჩუქრები ჟოლოსფერი მარფებია - თქვა გიორგიმ. თუ ცნობილია, რომ სამივემ ან საჩუქრის ფერი, ან თვითონ საჩუქარი გამოიცნო, დაადგინეთ, ვინ გამოიცნო ზუსტად რა ფერის და რა საჩუქარი მოიტანა მამამ?
 ა) მიხომ ბ) მარომ გ) გიორგიმ დ) ვერ დავადგენთ ე) ასეთი შემთხვევა შეუძლებელია
28. {3ქ} ნინოს აქვს სამი საკლასო ოთახი და ჰყავს მოსწავლეები, რომლებიც ამ ოთახებში უნდა გაანაწილოს. აღმოჩნდა, რომ როგორი ვარიანტიც არ უნდა განეხილა, 15-ზე მეტი მოსწავლე ერთ კლასში მაინც აღმოჩნდებოდა. სულ მცირე, რამდენი მოსწავლე ჰყავს ნინოს?
 ა) 45 ბ) 46 გ) 30 დ) 16 ე) 48
29. {1ქ} ეზოში დედა კატები და კნუტები არიან. თითოეულ დედა კატას ჰყავს 6 ან 7 კნუტი. სულ ეზოში 25 კნუტია. იპოვეთ ამავე ეზოში დედა კატების ოდენობა:
 ა) 25 ბ) 5 გ) 4 დ) 2 ე) 6
30. {5ქ} თუ გაგა სასწორზე გიგას მაგივრად დადგება, სასწორი 23 კილოგრამით მეტს აჩვენებს. რას იწონის გიგა, თუ გაგა 53 კილოგრამია?
 ა) 30კგ-ს ბ) 66კგ-ს გ) 76კგ-ს დ) 40კგ-ს ე) 23კგ-ს